შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№33 (9.647)

6-13 სექტემბერი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ნატოს სამიტი და საქართველო



ვიდრე ნატოს ლიდერები უელსის სამიტზე კონკრეტულ და ერთიან გადაწყვეტილებებს მიიღებენ, საქართველოს მოლოდინი ჯერ ისევ წინასწარ გაკეთებულ განცხადებებსა და ვარაუდებს ეფუძნება.

უელსის სამიტი ჩვენ კიდევ უფრო დაგვაახლოებს ნატოსთან და ქვეყნის განვითარების კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა გაგვიჩნდება, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, საქართველოს დელეგაცია ნატოს უელსის სამიტზე ძალიან ღირსეულად და წარმატებულად გამოდის.

„დღეს დაველოდებით საბოლოო ინფორმაციას. დარწმუნებული ვარ, სათანადოდ შეფასდება ყველა ის პროგესი, რასაც ჩვენ მივაღწიეთ. აღნიშნული სამიტი კიდევ უფრო დაგვაახლოებს ნატოსთან, კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა გაგვიჩნდება, რომ განვავითაროთ ჩვენი ქვეყანა. ჩვენი მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რომ ქვეყანა წინ წავიდეს და მაქსიმალურად დაცული ვიყოთ მომავალში“, - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა უელსის ნატო-ს სამიტის მიმდინარეობა შეაფასა. როგორც პრეზიდენტმა ჟურნალისტებს განუცხადა, ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი დღე არა მარტო საქართველოსთვის, არამედ იმ პრობლემებისთვის, რაც დგას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინაშე. “ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური შეხვედრების დროს მოკავშირეებთან კიდევ ერთხელ გვესაუბრა ჩვენი ჩართულობის, ჩვენი მომავალი გეგმების შესახებ. მე მინდა კიდევ ერთხელ დავუდასტურო ქართველ ხალხს, რომ ფაქტობრივად ყველა ქვეყანა ძალიან აფასებს საქართველოს როლს, იმ პროგრესს, რასაც საქართველომ მიაღწია და იმ წინ გადადგმულ ნაბიჯებს, რომელიც ჩვენ გვახლოვებს ალიანსის წევრობისკენ”, -განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

(გაგრძელება გვ.5)

წყლის პრობლემა კვლავ აქტუალურია

„ბოლო ხანსაც უპრეცენდენტო გვალვა გრძელდებოდა, რის გამოც დებეტი ფაქტობრივად განახევრებულია“...

წყალმომარაგების პრობლემა დედოფლისწყაროში კვლავაც მწვავედ დგას, ერთ-ერთ მთავარ მიზეზად კი დებეტის უკმარისობა სახელდება. მით უფრო, ცნობილია რომ, ბოლო ხანს აბონენტთა რიცხვი გასულ წლებთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა.

ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მაისის თვეში დედოფლისწყაროს გეოლოგების ჯგუფი ეწვია, შეირჩა სპეციალური ადგილები, სადაც დამატებითი ჭაბურღილები გაიჭრება, რის მეშვეობითაც ცენტრალურ რეზერვუარში წყლის დებეტის ზრდა მოხდება. ზაფხულის ხვატის ფონზე უწყლოობისგან გაწამებული დედოფლისწყაროელები იმედს ახალ ჭაბურღილებზე ამყარებდნენ და მიიჩნევდნენ, რომ ალტერნატიული რესურსის აღმოჩენის შემდეგ შემაწუხებელი გრაფიკი თუ არ მოისხნებოდა, გაუმჯობესდებოდა მაინც. თუმცა, შემოდგომა ისე დადგა, გრაფიკი სულ უფრო უარესდება და საიმედო ძვრები არ ჩანს. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, მიუხედავად იმისა, რომ ახალი წერტილები საბოლოოდ შეირჩა, სამუშაოები კვლავაც არ დაწყებულა.

წყლის დებეტის მატება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ზაფხულში იძენს, ამდენად „შირაქი“ დაინტერესდა, რატომ გაჭიანურდა პროცესი და რატომ ვერ მოესწრო სამუშაოები ამავე სეზონზე. ამ კითხვებით გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის მენეჯერს გია გოგილაშვილს მივმართეთ. თავდაპირველად ითქვა, რომ საჭირო თანხები მოძიებული არ იყო, ახლა კი ირკვევა, რომ პროექტის დაფინანსებას წყალმომარაგების კომპანია თავად უზრუნველყოფს.

გია გოგილაშვილი: „ბოლო ხანსაც უპრეცენდენტო გვალვა გრძელდებოდა, რის გამოც დებეტი ფაქტობრივად განახევრებულია. მაგალითისთვის, შარშან ამ დროს წამში 32 ლიტრი გვქონდა, ამჯერად კი 17 ლიტრი გვაქვს. გასულ წელს ჩვენმა კომპანიამ აითვისა ახალი სათავე, რომელიც რეზერვუარს დავუმატეთ და 900-1000 მეტრ კუბი დაემატა. დღეს ეს შესაძლებლობები განახევრებულია. მოსახლეობაც მიჩვეული იყო 24 საათიან მომარაგებას და ახლა უჭირთ რეალობასთან შეგუება, რაც უკმაყოფილებას იწვევს. ყველას აქვს სურვილი, უწყვეტად მიეწოდებოდეთ, მაგრამ გაგებით ეკიდებიან, რადგან საკმარისი მარაგი არ არის. გვაქვს ისეთი უბნებიც, სადაც ფიზიკურად ვერ ვაწვდით წყალს, ასეთი ქალაქის ტერიტორიაზე სამი ქუჩაა. თუმცა, ამ ეტაპზე ქალაქის აბონენტებისთვის დღეგამოშვებით ვინარჩუნებთ ექვს საათიან გრაფიკს.

– რაც შეეხება სოფლებს ხორნაბუჯსა და სამრეკლოს...

– ხორნაბუჯს და სამრეკლოს ნახევარს, რომლებიც ქალაქის მკვებავ ქსელზეა მიბმული, მათთან ცისტერნებით შეგვაქვს წყალი და ასე ვამარაგებთ მოსახლეობას. ხორნაბუჯი იცით, რომ დაბალ ადგილზეა გაშენებული, ადგილობრივი მოსახლეობის 80%-ს ეზოში საკუთარი ჭები აქვთ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს საოჯახო ჭებიც შრება. მათ ნახევარს უკვე დაუშრა ჭები და ველარ სარგებლობენ. ამიტომ, იძულებულები ვართ, რომ სოფელ ხორნაბუჯში 15 ქუჩა ავტოცისტერნებით მოვამარაგოთ საჭირო წყლით.

– ანუ, მეზობელ სოფლებში არანაირი გრაფიკი არ მოქმედებს და წყალმომარაგება მთლიანად შეწყვეტილია?

– ფაქტიურად, ამ ეტაპზე, სოფლებს ვერ ვაწვდით წყალს, რადგან სხვა შემთხვევაში ქალაქს ველარ გავაწვდენთ და იძულებული ვართ სოფლები დავარღვიოთ. რადგან ქალაქში მრავალსართულებიანი კორპუსებია, აუცილებლობა მოითხოვს რომ მათზეც ვიზრუნოთ. რთულია, როცა მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს წყალი არ აქვთ.

– რადგან კორპუსები ახსენეთ, მინდა გკითხოთ, კორპუსების მაცხოვრებლები უკმაყოფილებას გამოხატავენ იმაზეც, რომ წყალი ზედა სართულებამდე ვერ აღწევს, წნევის პრობლემაც არის რეალურად?

– ცხადია, წნევის პრობლემაც შეგვექმნა, რადგან რეზერვუარში 1,70 — 1,80 მეტრ სიმაღლეზე ვიჭერთ წნევას, როცა მანამდე 4,0 — 4,5 მეტრზე გვქონდა ხოლმე. ამ ბოლო ხანს სარწყავიც აღარაფერია და ალბათ მოსახლეობა აღარ რწყავს ბოსტანს, ამიტომ, უნდა ითქვას, რომ სიტუაციის გამოსწორებისკენ მივდივართ. როგორც ვიცი, ბოლო დღეებში კორპუსებშიც თავისუფლად ადის წყალი. ბევრი გვირეკავს ამ საკითხზე და ვაკონტროლებთ ვითარებას. განსაკუთრებით მიკრორაიონში, 47-ე კორპუსსა და ჰერეთის ქუჩის კორპუსებში ფიქსირდებოდა ეს პრობლემა, რომ ბოლო სართულებამდე ვერ ადიოდა წყალი.

– ბატონო გია, ამ სიტუაციიდან საბოლოო გამოსავალი რაშია, დებეტის გასაზრდელად ტემპერატურის ვარდნასა და ნალექებს უნდა ველოდეთ, თუ სხვა პერსპექტივაც არსებობს...

(გაგრძელება გვ.3)

ეკრანებთან გაზარებული დრო ემოციურ მგრძნობელობას აჩლუნგებს

გვ. 4

პრემიერი გარემოს დანაგვიანებისთვის ჯარიმების გამკაცრებას ითხოვს

გვ. 2

რთველის მიმდინარეობით დაინტერესდნენ

გვ. 3

„დედოფლისწყაროს საათი“

C M Y K

პრემიერი გარემოს დანაგვიანებისთვის ჯარიმების გამკაცრებას ითხოვს

პრემიერ-მინისტრი გარემოს დანაგვიანებისთვის ჯარიმის მაქსიმალურად გამკაცრებას ითხოვს. ამ საკითხზე ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე ისაუბრა და გარემოს დაცვის მინისტრს შესაბამისი დავალება მისცა.

„სამწუხაროდ, ზოგიერთი ადამიანი ანაგვიანებს გარემოს და ყრის ნაგავს იქ, სადაც არ შეიძლება ამის გაკეთება - პირდაპირ მანქანებიდან, ასე უსირცხვილოდ ხდება ამის გაკეთება. მე უკვე გავიარე სტრატეგია, რომელიც მოამზადა გარემოს დაცვის სამინისტრომ - საუბარია იმაზე, რომ მაქსიმალურად გამკაცრდეს ნაგვის დაყრასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ჯარიმები - მინდა მოგიწოდოთ, რომ მაქსიმალურად გაამკაცრეთ ჯარიმები და ყველა ის ადამიანი, რომელიც ასე უპასუხისმგებლოდ მოიქცევა, მაქსიმალურად დააჯარიმეთ", - მიმართა პრემიერ-მინისტრმა გარემოს დაცვის მინისტრს.

ოფიციალური დელეგაცია სტუმრად გერმანიაში გაემგზავრა

7 სექტემბერს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ)-ის მინვევით გერმანიის ფედერაციულ რეს-პუბლიკაში საქართველოდან თექვსმეტკაციანი დელეგაცია მიემგზავრება.დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებიან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი,საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნუგზარ პაპიაშვილი,მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და დეკანოზი პეტრე ხუმარაშვილი. დელეგაციის შემადგენლობაში ასევე იმყოფება სახელმწიფო რწმუნებული კახეთის მხარეში ირაკლი შიოლაშვილი.პროექტი მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში ქართული მხარისათვის გერმანული გამოცდილების გაზიარებასა და სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავებას.

ქართულ დელეგაციას მასპინძლობას გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციასთან ერთად გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროც (BMZ) გაუწევს.

ერთკვირიანი სასწავლო ტური 13 სექტემბერს დასრულდება.

საქართველოს აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ეწვევა

6 სექტემბერს თბილისს ეწვევა აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ჩაკ ჰეიგელი - ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან ავრცელებს. ჩაკ ჰეიგელი ქართველ კოლეგას ირაკლი ალასანიას შეხვდება. დაგეგმილია თავდაცვის მინისტრების ერთობლივი პრეს-კონფერენციაც. 6 სექტემბერსვე ჰეიგელი ესტუმრება კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრს, სადაც სიტყვით მიმართავს ქართველ და ამერიკელ სამხედროებს.

საქართველო უკრაინიდან 130 ბავშვს უმასპინძლებს

საქართველო უკრაინიდან 130 ბავშვს უმასპინძლებს, - ამის შესახებ ჟურნალისტებს მთავრობის დღევანდელი სხდომის დასრულების შემდეგ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა განუცხდა.

"საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დავეხმაროთ აღმოსავლეთ უკრაინაში მცხოვრებ დაზარალებულ ბავშვებს - გავგზავნოთ იქ თვითმფრინავი და ჩამოვიყვანოთ 130 ბავშვი თანმხლები პირებით", - განაცხადა მინისტრმა.

ყიფიანის განმარტებით, სია, კონკრეტულად რომელი რეგიონებიდან მოხდება ბავშვების ჩამოყვანა, დგინდება.

"პროცესში აქტიურადაა ჩართული, როგორც ჩვენი, ისე ჯანდაცვის სამინისტრო და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. ასევე ჩვენი საელჩო უკრაინაში. ჩვენ მზად ვართ დახმარების ხელი გავუწოდოთ ჩვენს უკრაინელ მეგობრებს", - აღნიშნა ყიფიანმა.

თეა წულუკიანი – მთავრობა იქნება მკაცრი მათთან, ვინც იარაღის უკანონოდ ტარებას და თანატოლზე ხელის აღმართვას გაბედავს

იუსტიციის სამინისტრო ირაღის ტარებასთან დაკავშირებული რეგულაციების გამკაცრების შესახებ კანონპროექტს მთავრობის მომავალ სხდომაზე წარადგენს, - ამის შესახებ ჟურნალისტებს მთავრობის 5 სექტემბრის სხდომის შემდეგ იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა განუმარტა.

მისივე განმარტებით, ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ მთავრობა იქნება მკაცრი მათთან ბრძოლაში, ვინც იარაღის უკანონოდ ტარებას და თანატოლზე ხელის აღმართვას გაბედავს.

"რა თქმა უნდა, იმ დანაშაულთან ბრძოლა, რომელიც არის მიმართული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ, უნდა იყოს მკაცრი. ამ ბრძოლაში არ უნდა დაგვავიწყდეს ადამიანის უფლებები, მაგრამ აუცილებელია და დავალებაც მივიღეთ, რომ შს სამინისტრომ პრევენციული ღონისძიებები გაატაროს, რათა თითოეულმა ახალგაზრდამ იცოდეს - იარაღის უკანონო ტარება, იქნება ეს ცივი იარაღი თუ ცეცხლსასროლი იარაღი, არ არის კანონით დაშვებული. იუსტიციის სამინისტრო მთავრობას მომავალ სხდომაზე წარუდგენს კანონპროექტთა პაკეტს, რომლითაც გამკაცრდება იარაღის, მით უმეტეს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების შესახებ ჩვენს კანონებში არსებული ნორმები,-აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.

მისივე თქმით, კანონპროექტი მთავრობას რამდენიმე დღეში წარედგინება. "თუმცა, მინდა რომ უკვე ამ წუთიდან მოხდეს ყველა ახალგაზრდის გაფრთხილება იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობა იქნება მკაცრი მათთან ბრძოლაში, ვინც იარაღის უკანონო ტარებას და თავის თანატოლზე ხელის აღმართვას გაბედავს", - განაცხადა თეა წულუკიანმა.

გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული საკითხები კანონით მოწესრიგდება

საქართველოს და უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გაცვლითი პროგრამების განხორციელებასთან და მასში სტუდენტების მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები კანონით დარეგულირდება.

გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონს რამდენიმე ახალი მუხლი ემატება.

პროექტის მიხედვით, გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოში ჩამოსული სტუდენტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამაზე დაწესებულების ხელმძღვანელის აქტით დაიშვება და ის დაწესებულებას სტუდენტთა საერთო რაოდენობაში არ ჩაეთვლება. საქართველოდან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში წასულ სტუდენტებს კი, სტუდენტის სტატუსი არ შეუჩერდებათ - ისინი დაწესებულების აქტიურ სტუდენტებად ჩაითვლებიან და მათზე კანონით დადგენილი შესაბამისი პირობები გავრცელდება.

პროექტის გათვალისწინებით, უმაღლესი სასწავლებელი ვალდებული იქნება, უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ხელშეკრულების დადებამდე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან მიიღოს წერილობითი ინფორმაცია, შესაბამისი სასწავლებლის აღიარების შესახებ.

კრედიტების აღიარება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე სტუდენტს კრედიტი აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ექნება მიღებული.

"უმაღლესი განათლების შესახებ" კანონში დაგეგმილი ცვლილებები განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოამზადა. პროექტი განსახილველად პარლამენტს უკვე წარედგინა.

სკოლებში სწავლა 15 სექტემბერს დაიწყება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N84/ნ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო წლის დაწყების თარიღად განისაზღვრა 10 სექტემბრის შემდგომი პირველი ორშაბათი(15 სექტემბერი), ხოლო დასრულების თარიღად - 10 ივნისის შემდგომი პირველი პარასკევი (12 ივნისი).

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პირველი და დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის სასწავლო წელი დასრულდება 2015 წლის 20 მაისს. თუ აღნიშნული თარიღი ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, სასწავლო წელი დასრულდება 20 მაისამდე ბოლო სამუშაო დღეს.

ზამთრის არდადეგები დაიწყება 2014 წლის 30 დეკემბრიდან და გაგრძელდება 2015 წლის 14 იანვრის ჩათვლით.

ანგელა მერკელი – ნატო უკრაინაში არსებული ვითარების მშვიდობიანი დარეგულირების გზებს ეძებს

გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის განცხადებით, ნატო უკრაინაში არსებული ვითარების მშვიდობიანი დარეგულირების გზებს ეძებს. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს.

"ჩვენ უკრაინული კრიზისის მშვიდობიანად გადაჭრა გვინდა და მზად ვართ ამის თაობაზე რუსეთთან მოლაპარაკებებზე", - განაცხადა ანგელა მერკელმა უელსის სამიტზე.

გერმანიის კანცლერმა ასევე ხაზი გაუსვა რუსეთისთვის მომავალი სანქციების დაწესების მზაობას. მისივე თქმით, რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციების დაწესებით, დასავლეთი მზად არის გააძლიეროს პოლიტიკური მოთხოვნები.

ნატო-ს სამიტზე ალიანსის წევრმა-ქვეყნებმა მხარი დაუჭირეს უკრაინის სამშვიდობო გეგმას და მოუწოდეს რუსეთს, შეცვალოს სამხედრო ინტერვენციის კურსი და შეაჩეროს სეპარატისტთა მხარდაჭერა აღმოსავლეთ უკრაინაში ვითარების დეესკალაციისთვის.

მთავრობამ არასტანდარტული ვაშლის სუბსიდირების პროექტი მოიწონა

მთავრობამ დღევანდელ სხდომაზე არასტანდარტული ვაშლის სუბსიდირების პროექტი მოიწონა და დაამტკიცა, - ამის შესახებ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ განუცხადა.

მისივე თქმით, შესაბამისად დაიწყება ასეთი ტიპის ვაშლის სუბსიდირება სახელმწიფოს მიერ, ფასი კი 10 თეთრით განისაზღვრება.

"მიდგომა არის ზუსტად იგივე, როგორიც რთველის შემთხვევაში. იმ შემთხვევაში თუ ჩამბარებელი არასტანდარტულ ვაშლს ჩაიბარებს და გადაიხდის 10 თეთრს, მიიღებს 8-თეთრიან სუბსიდირებას სახელმწიფოსგან. ეს მნიშვნელოვნად შეცვლის იმ სურათს, რომელიც წლების მანძილზე იყო. ეს არის უპრეცედენტო, ჯერ ასეთი რამ არ მომხდარა არასდროს", - განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

კახა კალაძე – "ყაზტრანსგაზში" ყაზახური მენეჯმენტი დაბრუნდება

ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის განცხადებით, "ყაზტრანსგაზში" ყაზახური მენეჯმენტი უახლოეს მომავალში დაბრუნდება. როგორც მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ კახა კალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ყაზახურ მხარესთან სამუშაო შეხვედრა უკვე ჰქონდათ.

"კიდევ ერთხელ ავუხსენით ჩვენი პოზიცია და მიდგომა, რომ ჩვენ კომპანიას ვუბრუნებთ. ის პრობლემები, რომლებიც ფინანსურ მხარეს ეხებოდა ფინანსთა სამინისტროსთან მოგვარებულია, როდესაც სამუშაო ჯგუფების მუშაობა დასრულდება, კომპანია გადაეცემა მართვაში", - განაცხადა კახა კალაძემ.

საქართველო ნატოსგან გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტს მიიღებს

ნატო-ს ლიდერები შეთანხმდნენ საქართველოსთვის გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტის გადაცემაზე, რომელიც საქართველოს ნატო-ს წევრობისთვის მომზადებაში დაეხმარება. ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფორ რასმუსენმა ნატოს სამიტზე, უელსში განაცხადა. მისივე თქმით, ნატო-ს ლიდერები შეთანხმდნენ საქართველოს, იორდანიისა და მოლდოვასთვის თავდაცვითი შესაძლებლობების შექმნის ინიციატივის გაფართოვებაზე. მან ასევე თქვა, რომ საქართველო ერთ-ერთია იმ ხუთ ქვეყანას შორის, რომლებიც ნატოსთან თანამშრომლობის დამატებით შესაძლებლობებს ეძიებენ. დანარჩენი ოთხი ქვეყანა ავსტრალია, ფინეთი, იორდანია და შვედეთია. "თითოეული ქვეყნის ნატო-ში წევრობა განიხილება მისი კონკრეტული მიღწევების საფუძველზე. არანაირ მესამე ქვეყნებს არ ექნებათ უფლება ნატო-ს გაფართოებაზე ვეტოს დადების. ყველა კანდიდატს მოუწევს კიდევ უფრო მეტი გააკეთოს სხვადასხვა სფეროში და ჩვენ უზრუნველყოფთ მათ იმ მხარდაჭერით, რომელსაც ისინი საჭიროებენ", - განაცხადა ანდერს ფოგ რასმუსენმა.

წყლის პრობლემა კვლავ აქტუალურია

„ბოლო ხანსაც უპრეცენდენტო გვალვა გრძელდებოდა, რის გამოც დებეტი ფაქტობრივად განახევრებულია“...

(პირველი გვერდიდან)

– რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ ნალექი მოვა, მაგრამ ამის იმედზე ვერ ვიქნებით. ჩვენმა მუნიციპალიტეტმა, თავად წყალმომარაგების კომპანიამ ერთობლივი სამუშაოები აწარმოა, მოიძიეს წყლის ახალი სათავეები. უკვე შერჩეულია კონკრეტული ადგილები, მაგალითად, ტარიბნისკენ მიმავალ გზაზე, მარცხენა მხარეს არის ყოფილი მელიორაციის სატუმბო სადგური, ასევე რაიონის შემოსასვლელში, ობელისკის მიმდებარე ტერიტორიაზე შერჩეულია კიდევ ერთი წერტილი, სადაც გეოლოგები ირწმუნებიან, რომ აქ არის საჭირო წყლის მარაგი. ამ ორი წერტილით ვგეგმავთ დებეტის გაზრდას, რამაც მომავალში გრაფიკი უნდა აგვაცილოს თავიდან.

– რა ეტაპზეა ეს პროექტი, ზაფხული პრაქტიკულად გავიდა და როდისთვის შეიძლება მოესწროს?..

– ახლა დოკუმენტაციის მოწესრიგება მიმდინარეობს, რომ პროექტმა ყველა საჭირო ეტაპი გაიაროს. წყალმომარაგების კომპანიას აქვს ყველანაირი რესურსი, რომ ეს სამუშაოები დაიწყოს. რაც შეეხება პროექტის დაფინანსებას, კომპანია საკუთარ თავზე იღებს ხარჯების ანაზღაურებას. საჭირო თანხები უკვე მოძიებულია და ამ ადგილებში სადრენაჟო სისტემა მოეწყობა. დაბურღვითი სამუშაოები არ ჩატარებულა, ეს იყო დაზვერვითი, საძიებო სამუშაოები და დადასტურდა, რომ ამ კონკრეტულ ადგილებში წყლის მარაგი არის. ახლა უკვე ინტენსიური სამუშაოების დაწყებაა საჭირო. ყველანაირი პროცედურა უკვე გავლილი აქვს და სავარაუდოდ, სამუშაოები უახლოეს დღეებში უნდა დაიწყოს. ამაში ჩართულია, როგორც რაიონის ხელმძღვანელობა, ისე გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელობა და

წესით, ინტენსიური სამუშაოები სექტემბერშივე უნდა დაიწყოს“.

თავის მხრივ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი გაზეთ „შირაქთან“ ამბობს, რომ პროექტის სამზადისი დასკვნით ეტაპზეა და სამუშაოები უახლოეს დღეებში უნდა დაიწყოს. მისი თქმით, წლევანდელმა ზაფხულმა ცხადყო, რომ წყლის დებეტის გაზრდაზე ზრუნვა მუნიციპალიტეტის ნომერ პირველ პრობლემად იქცა და ხელისუფლებას ქმედითი ნაბიჯები დროულად უნდა გადაედგა.

„მოგეხსენებათ, თავის დროზე დედოფლისწყაროს რეზერვუარები წყლით ლაგოდეხიდან მარაგდებოდა და მათზე ვიყავით დამოკიდებულნი. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ დედოფლისწყაროში წყლის დებეტის პრობლემა რეალურად ყოველთვის იდგა, მითუფრო ვითარებას ამწვავებს გვალვაც. ამიტომაც დავდექით ასეთი რეალობის წინაშე. რამდენჯერმე იმყოფებოდა გეოლოგების ჯგუფი, რომელთაც საძიებო სამუშაოები ჩაატარეს და მონიშნეს ადგილებიც. რაც შეეხება უახლეს ინფორმაციას, როგორც ჩემთვის ცნობილია, ამ ეტაპზე ამ ადგილებში წყლის ვარგისიანობის შესწავლა და ანალიზი მიმდინარეობს. სპეციალისტები სწავლობენ, რამდენად ხარისხიანია წყალი და რა მოლოდინი შეიძლება გვქონდეს დებეტის მოცულობასთან დაკავშირებით, რომ სამომავლოდ შედეგი პროგნოზირებადი იყოს. ასევე ახლა უნდა გადაწყდეს, რამდენ მეტრ სიღრმეზე უნდა დაიბურღოს, ერთი წერტილი დაგვჭირდება, თუ ორი. ზუსტ თარიღს ვერ დავასახელებ, მაგრამ როგორც ეს სამუშაოები დასრულდება, სავარაუდოდ, ერთი თვის ვადაში დაიწყება ამ პროექტის განხორციელება. იმედი გვაქვს, რომ ეს დედოფლისწყაროში წყლის დეფიციტს საბოლოოდ აღმოფხვრის,“ - აღნიშნა გამგებელმა.

როგორც ჩანს, წყალზე გრაფიკი სეზონის ბოლომდე შენარჩუნდება, ახალი პროექტის იმედი კი სამომავლოდ უნდა გვქონდეს.

ილია მარტყოფლიშვილი

რთველის მიმდინარეობით დაინტერესდნენ

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში რთველი აქტიურ ფაზაში შევიდა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან გივი გიგაურთან და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან გოჩა სამუკაშვილთან ერთად სოფელ სამთაწყაროში იმყოფებოდა და რთველის მიმდინარეობის პროცესს პირადად გაეცნო. შეხვედრებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადგილობრივი წევრი მერაბ ცეცხლაძეც ესწრებოდა.სტუმრობის ფარგლებში საკრებულოს ხელმძღვანელი პირები მოსახლეობას გაესაუბრნენ და მათი პრობლემების შესახებაც მოისმინეს. სამთაწყაროელების მთავარი საწუხარი კლიმატური პირობებით გამოწვეული ზიანია.წლევანდელმა გვალვამ ვენახების გარკვეული ნაწილი დააზიანა,რამაც მოსავლის რაოდენობასა და ხარისხზე უარყოფითად იმოქმედა. ,, შევისწავლით თქვენს პრობლემებს და ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შევეცდებით მათ მოგვარებას“-განუცხადა მოსახლეობას ზვიად ჯავახიშვილმა.

ამ ეტაპზე სოფელ სამთაწყაროში 40 ტონა რქაწითელი და 800 ტონაზე მეტი საფერავის ჯიშის ყურძენია მოკრეფილი,რაც მთლიანი რაოდენობის მხოლოდ ნახევარია.მოსახლეობიდან ყურძნის შესყიდვას სამი კეძო კომპანია-,,ყვარელიდუგლაძეები'', ,,თბილღვინო'' და ,,ბადაგონი'' აწარმოებს.რქაწითელის ფასი 1,10 თეთრია,საფერავის 1,60. საქართველოში ყურძნის ფასმა მას შემდეგ მოიმატა,რაც ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებით,ღვინის მწარმოებელ კომპანიებს იაფი აგროკრედიტების აღების საშუალება მიეცათ.ამან კომპანიების მსყიდველუნარიანობა ერთიორად გაზარდა,რამაც კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა განაპირობა.ყურძნის ფასის მომატება სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირების პროგრამის განხორციელებამა და რუსული ბაზრის გახსნამაც განაპირობა.მიუხედავად უამინდობისა,შარშან გატარებული რეფორმების წყალობით,წელს გლეხი უკეთეს პირობებში აღმოჩნდა,სამთაწყაროელები მადლიერებას გამოხატავენ და იმედოვნებენ,რომ ხელისუფლება შეღავათიან პროგრამებს მომავალშიც განახორციელებს.

საკრებულოს თავმჯდომარე კომისიის ხელმძღვანელებთან ერთად სოფელ არხილოსკალოშიც იმყოფებოდა.რთვლის .მზადების პროცესს ზვიად ჯავახიშვილი ადგილზე გაეცნო.გაირკვა,რომ ყურძნის შემსყიდველ კომპანიებთან მოლაპარეკებები უკვე დაწყებულია.გვარდება სხვა ტექნიკური დეტალებიც. რთვლის დაწყებას აქ მომავალ კვირაში გეგმავენ.

სამთაწყაროს გარდა,რთველი მიმდინარეობს ჩვენი მუნიციპალიეტის კიდევ სამ სოფელში-ზემო მაჩხაანში,არბოშიკსა და ოზაანში.პროცესის მომდინარეობით ზვიად ჯავახიშვილი კმაყოფილია. მისი განცხადებით,მოსახლეობასთან შეხვედრა და მათი პრობლემების ადგილზე გაცნობა ერთჯერად ხასიათს არ ატარებს და მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

კახეთში საფერავის ფასი 2.30 ლარამდე გაიზარდა

კახეთში საფერავის ფასი 2.30 ლარამდე გაიზარდა. ყვარელში, სს „თბილღვინო“ საფერავს 2.30 ლარად იბარებს, რქაწითელს კი 1.05 ლარად. როგორც „თბილღვინოს“ წარმომადგენელმა ვაჟა გუჯაბიძემ განაცხადა, ყურძენზე ფასი 4 სექტემბრიდან გაიზარდა. ღვინის სხვა კომპანიებში საფერავის ფასი 1.75—დან 2.10 ლარამდე მერყეობს. ზოგიერთი კომპანია ვენახიდან საწარმომდე მოსავლის ტრანსპორტირებასაც თავად უზრუნველყოფს. გაზრდილი ფასის გამო რამდენიმე კომპანიამ საფერავის მიღება შეაჩერა. 1 კილოგრამ საფერავში 2.10 ლარს იხდის შპს „მარნისკარი“, თელავის რაიონის სოფელ სანიორეში. ღვინის რამდენიმე კომპანიაშიაცხადებენ, რომ ქარხნებში ყურძენს საღამოს 5 საათიდან იღებენ და დღეს რამდენს გადაიხდიან ჯერ არ გადაუწყვეტიათ. „გუშინ 1.60 იყო, საღამოს 1.75-საც ვიხდიდით, დღეს არ ვიცით ჯერ რა იქნება. ამბობენ, ფასმა აიწიაო. საღამოს გავარკვევთ რა ფასად ჩავიბარებთ“, - აღნიშნა წინანდლის „ვაინმენ შ.პ.ს.“-ს წარმომადგენელმა თეიმურაზ ბეგიაშვილმა. „გუშინ 1.65 იყო ჩვენთან ფასი საფერავზე. დღეს არ ვიცით, საღამოს გვეცოდინება. ფასები ცვალებადია, ყოველდღე იცვლება“, - განაცხადა ყვარლის „ძველი გვირაბის“ წარმომადგენელმა ბესიკ კევლიშვილმა. შპს „შატო ზეგანის“ წარმომადგენელი ზურაბ ტატულაშვილი აცხადებს, რომ მათ საფერავის მისაღები ფასი 1.50 ლარი დატოვეს. „მეტის გადახდა არ გვიღირს“, - ამბობს ტატულაშვილი. კახეთში რთველი 21აგვისტოს დაიწყო. ღვინის კომპანიები საფერავის ჯიშის ყურძენს 1.30 ლარად იბარებდნენ. 27 აგვისტოდან ყურძენი გაძვირდა. 28, 29, 30 აგვისტოს 1 კილოგრამი ხარისხიანი საფერავის ფასი 2—დან 2.40 ლარამდე მერყეობდა. 31 აგვისტოს, ღვინის 34—ვე კომპანიამ, საფერავზე ფასი ერთდროულად 1.50 ლარამდე დააგდო. ექსპერტებმა ყურძენზე ფასის ერთდროული შემცირება ღვინის კომპანიებს შორის კარტელურ გარიგებად შეაფასეს. „ყოვლად წარმოუდგენელია ეს კომპანიებს შორის შეთანხმების გარეშე მომხდარიყო. ყურძენზე მოთხოვნა უზარმაზარია. პრაქტიკულად წარმოუდგენელი ზრდა დაფიქსირდა ექსპორტის თვალსაზრისით რუსეთში. არ გამოვრიცხავ, ასეთი უკონტროლო სიტუაციით, როცა საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულაცია რეალურად არ მუშაობს, ისარგებლონ კომპანიებმა, დემპინგურ ფასზე შეთანხმდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე მოთხოვნა მაღალია, მაინც შეძლონ ფასის ხელოვნურად დაგდება“, — განაცხადა ეკონომიკის ექსპერტმა ლევან კალანდაძემ. „წელს პირველ ნახევარში რუსულ ბაზარზე შეტანილი ღვინის დაახლოებით 12.5% ქართული ღვინო იყო. 1 წელიწადში საქართველომ შეძლო, რომ იტყვიან, შეუძლებელი. იმის გათვალისწინებით, რომ წელს კახეთში გვალვა იყო, ყურძენზე მოთხოვნა კიდევ უფრო უნდა გაზრდილიყო. არის მოთხოვნა ექსპორტზე, არის შიდა მოთხოვნა და ასეთ პირობებში ამას ფასზე უნდა ემოქმედა“, — ამბობს ეკონომიკის ექსპერტი სოსო არჩვაძე. ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2014 წლის 8 თვეში (იანვარ-აგვისტო) მსოფლიოს 38 ქვეყანაში ღვინის ექსპორტმა 36 585 769 (0,75 ლ) ბოთლი შეადგინა, რაც 69%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ღვინის ექსპორტის გაზრდის და იმის გათვალისწინებით, რომ წელს კახეთში ყურძენი ჯერ სეტყვამ, შემდეგ კი გვალვამ დააზიანა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ პროგნოზირებული მოსავლის რაოდენობა (126 ათასი ტონა) კიდევ შემცირდა, მევენახეები ვარაუდობდნენ, რომ ფასი ისევ გაიზრდებოდა. რამდენიმე დღის განმავლობაში გლეხებმა ყურძნის დაკრეფისგან თავი შეიკავეს. ამასთან, ღვინის 30—ზე მეტი კომპანიის მიერ, 31 აგვისტოს, საფერავის ჯიშის ყურძენზე ფასის 2.40 ლარიდან 1.50 ლარამდე ერთდროულად შემცირებას კახეთში მევენახეების მხრიდან უკმაყოფილება და საპროტესტო აქციების გამართვა მოჰყვა. აქციის მონაწილეების განცხადებით, ღვინის კომპანიები შეთანხმდნენ და საფერავზე ფასი ხელოვნურად შეამცირეს. სხვადასხვა სოფელში გამართული საპროტესტო აქციების საპასუხოდ, სპეციალური ბრიფინგი გამართეს რთველის საკოორდინაციო შტაბის ხელმძღვანელმა ლევან დავითაშვილმა და კახეთის გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა. ლევან დავითაშვილმა განაცხადა, რომ რთველის შეფერხება და ჩაშლის მცდელობა საბოტაჟის სახეს იღებს. „იმ დროს, როდესაც ბუნებრივმა კლიმატურმა პირობებმა ისედაც შეამცირა მოსავალი და მისი ხარისხი, რთველის პროცესის შეფერხება და ჩაშლის მცდელობა საბოტაჟის სახეს იღებს. ეს კი ყველაზე მეტად აზარალებს კახელ მევენახეებს. ჩნდება ეჭვი, რომ ხომ არაა ეს პროცესი ხელოვნურად მართული“, — აღნიშნა დავითაშვილმა. კახეთის გუბერნატორის ირაკლი შიოლაშვილის თქმით, წინა წლებში სახელმწიფო უწყებები აიძულებდნენ კონკრეტულ მეწარმეებს, კონკრეტულ ფასად ჩაებარებინათ ყურძენი. „ეს თავიდან ბოლომდე გამოირიცხა ჩვენი ხელისუფლების პირობებში. სახელმწიფოს სწორი პოლიტიკის შედეგად დღეს ჩვენ მივიღეთ სტაბილური ფასი, ლარნახევარი. ერთი კილოგრამი ყურძნის მოყვანა თუ ჯდება 30 და 35 თეთრი, 5-ჯერ და 6-ჯერ მომგებიანი გახდა ყურძნის წარმოება“, — განაცხადა გუბერნატორმა. ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ამ დროისთვის კახეთში ყურძენს 54 კომპანია იბარებს. გადამუშავებულია 13 134 ტონა ყურძენი.

გამოკვლევა: ეკრანებთან გატარებული დრო ემოციურ მგრძნობელობას აჩლუნგებს

ახალი, საკმაოდ პროვოკაციული გამოკვლევის თანახმად, ეკრანებთან გატარებული დიდი დრო ბავშვებს ცხოვრებაში ემოციების ამოცნობას ურთულებს. ბავშვებს შესაძლოა „სიცილაკების“ მნიშვნელობის წაკითხვა იოლად შეეძლოთ, მაგრამ, გამოკვლევას თუ დავუჯერებთ, რაც მეტ დროს ატარებენ ციფრულ მედიასთან, მით უფრო მეტად უარესდება მათი სოციალური უნარები.

ბლოგ „ჰაფინგტონ პოსტს“ მოაქვს კვლევის თანაავტორის, კალიფორნიის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორის, დოქტორ პატრიცია გრინფილდის განცხადება, რომ მობილური ტელეფონების და კომპიუტერების ხანგრძლივი გამოყენების ერთ-ერთი შედეგი სხვა ადამიანების ემოციების გაგების უნარის დასუსტება და ემოციების მიმართ მგრძნობელობის დაჩლუნგებაა.

თუმცა, „ჰაფინგტონ პოსტის“ თანახმად, კვლევაში ვითარებიდან გამოსავალიც მოცემულია: დროდადრო რამდენიმე დღით ეკრანებიდან მოწყვეტა და ადამიანებთან ინტენსიური, პირისპირ ურთიერთობა სოციალური უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

მკვლევარებმა მეექვსეკლასელთაგან შემდგარ ორ ჯგუფში ჩაატარეს კვლევა. ერთ ჯგუფში 51 მეექვსეკლასელი მოხვდა, რომლებმაც ხუთი დღე გაატარეს ბუნების წიაღში მოქმედ ბანაკში, სადაც აკრძალული იყო ელექტრონული მოწყობილობების გამოყენება. მეორე ჯგუფში მოხვედრილი 54 მეექვსეკლასელი კი ბანაკში არ იმყოფებოდა და დიდ დროს ატარებდა კომპიუტერებისა და ტელეფონების ეკრანებთან.

ტესტები, რომლებიც ბავშვებს როგორც ხუთდღიანი პერიოდის დაწყების წინ, ისე მის შემდეგ ჩაუტარდათ, მათგან მოითხოვდა ფოტოებსა და ვიდეოკადრებზე ადამიანების მიერ გამოხატული ემოციების ამოცნობას - ეს რეალური სიტუაციები იქნებოდა თუ მსახიობების მიერ განსახიერებული დრამატული სცენა.

როგორც აღმოჩნდა, ბანაკში გატარებული დროის შემდეგ ბავშვებს მნიშვნელოვნად გაუუმჯობესდათ სახის გამომეტყველების ამოცნობის უნარი. ბანაკში გაგზავნილ ჯგუფში მოხვედრილმა ბავშვებმა მაჩვენებელი საშუალოდ 14 შეცდომიდან 9 შეცდომამდე დაიყვანეს ფოტოების ტესტში. რაც შეეხება ვიდეოკადრების ტესტს, ბანაკში წასვლამდე ბავშვებმა ემოციების დაახლოებით 26 პროცენტი ამოიცნეს სწორად, ბანაკიდან დაბრუნების შემდეგ კი ეს მაჩვენებელი 31 პროცენტი იყო. ამ ინფორმაციას ლოს ანჯელეს ტაიმსი ავრცელებს.

და მაინც, საიდან დაასკვნეს მკვლევრებმა, რომ ბავშვების სოციალური უნარები სწორედ ელექტრონული მოწყობილობების გარეშე გატარებულმა დრომ გააუმჯობესა და არა, მაგალითად, მათმა მონაწილეობამ ბანაკის ღონისძიებებში?

ამ კითხვით „ჰაფინგტონ პოსტმა“ მიმართა კვლევის კიდევ ერთ ავტორს, იალდა ულს, რომელიც კალიფორნიის უნივერსიტეტში ბავშვთა ციფრული მედიაცენტრის უფროსი მკვლევარია.

კითხვას მკვლევარმა იმეილით უპასუხა: „დარწმუნებით ვერ განვაცხადებთ, რომ აქ, მართლაც, საკუთრივ ელექტრონული მოწყობილობების გარეშე გატარებულმა დრომ იმოქმედა და ამას კვლევის ერთ-ერთ სუსტ ასპექტად მივიჩნევთ. მაგრამ, ჩვენი რწმენით, იმის გამო, რომ ელექტრონულ მოწყობილობებს არ იყენებდნენ, ბანაკის მონაწილეებს მეტი დრო ჰქონდათ ერთმანეთთან პირისპირ ურთიერთობისთვის და, სავარაუდოდ, სწორედ ამან გამოიწვია მათი სოციალური უნარების გაუმჯობესება. ... გამოკვლევამ დაადასტურა ის, რასაც ბევრი მშობელი ინტუიციით ისედაც ხვდებოდა“.

მკვლევარი დასძენს, რომ, ამ ახალი კვლევის შედეგების ფონზე, იმ მოზარდების მშობლებმა, რომლებიც ძალიან დიდ დროს ატარებენ ტექნიკასთან, უფრო მეტი ძალისხმევა უნდა მოახმარონ ამ დროის შემცირებას და უნდა ეცადონ იმის უზრუნველყოფას, რომ ოჯახის წევრებს შორის ელექტრონული მოწყობილობების გარეშე, პირისპირ ურთიერთობა ხშირი იყოს.

გამოკვლევა 15 აგვისტოს გამოქვეყნდა ელექტრონულ ჟურნალში Computers in Human Behavior.

„კაზანტიპით“ დაზარალებულები

“კაზანტიპის” ხმაურიანი ფესტივალი ხმაურიანად დასრულდა. პროექტში მონაწილეობა იმაზე ბევრად ნაკლებმა ადამიანმა მიიღო, ვიდრე ორგანიზატორები ელოდნენ. თუმცა ამბობენ, რომ ფინანსური დანაკარგების მიუხედავად, პირველი მცდელობისთვის პროექტმა მაინც გაამართლა. ადგილობრივებში კი, ვინც უშუალოდ ფესტივალის ვიზიტორებს მასპინძლობდა, აზრთა სხვადასხვაობაა - ერთი ნაწილი კმაყოფილია და მოგებას ითვლის, მეორე ნაწილი კი ვალებზე საუბრობს.

ფინანსური პრობლემების ძირითადი მიზეზი ფესტივალის სტუმრების სიმცირე იყო - “რესპუბლიკის” ხელმძღვანელობა ანაკლიაში ბევრად მეტ სტუმარს ელოდა. არსებული მონაცემებით, ფესტივალს დაახლოებით 12 ათასი ვიზიტორი ესტუმრა, მათი დიდი ნაწილი სიძვირის და სხვა, არადამაკმაყოფილებელი პირობების გამო, მალევე ტოვებდა ანაკლიას.

ბუნებრივია, რომ სტუმრების სიმცირემ უკმაყოფილება გამოიწვია ადგილობრივ მოსახლეობაში. ამას ემატება ის პრობლემები, რომელიც მოსახლეობის ნაწილს ტურისტულ კომპანია “ჯორჯია ოქეისთან” შეექმნა. ადგილობრივები ამბობენ, რომ აღნიშნულმა კომპანიამ მათ კუთვნილი თანხა არ გადაუხადა და ეს მაშინ, როცა ვიზიტორების მოლოდინში ბანკიდან სესხი აიღეს და შესაბამისი პირობების მოწყობას მოახმარეს. აღებული კრედიტებით სახლი გაარემონტეს.

ცოტა ხნის წინ “კაზანტიპით” დაზარალებულებმა ანაკლიის ცენტრში საპროტესტო აქციაც გამართეს. მათი განცხადებით, ტურისტულმა კომპანია “ჯორჯია ოქეიმ” ხელშეკრულების პირობები დაარღვია და მათ კუთვნილი თანხა არ აუნაზღაურა. ხელშეკრულების თანახმად, კომპანია წინასწარ შერჩეული სახლის მფლობელებს დამსვენებლებს მიუყვანდა, თანხას კი “კაზანტიპის” დასრულების შემდეგ აუნაზღაურებდა.

ელზა ჭანტურია, **ანაკლიის მკვიდრი:** “20 სტუმრის ჩამოყვანას დამპირდნენ და მხოლოდ 12 ჩამოვიდა. სტუმრების ამ რაოდენობაზეც თანხის მხოლოდ ნაწილი გადამიხადეს. არადა დიდი მოლოდინი გვქონდა. ახლა თხილის იმედი მაქვს, ბანკის ვალი მაინც რომ გავისტუმრო. ჩემ დღეში ბევრი ადამიანია”.

ადგილობრივები ამბობენ, რომ ფესტივალს ცუდი პიარი ჰქონდა, ამიტომ საზოგადოების აზრის გათვალისწინება მოუხდათ და დამსვენებლებს დიდი სიფრთხილით არჩევდნენ. ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი ამბობს, რომ ადგილობრივების უმრავლესობას ერჩივნა ბინა ქართველებისთვის მიექირავებინა, რათა ზედმეტი ხმაური და მითქმა-მოთქმა აერიდებინათ თავიდან.

“აქციებისა და წინააღმდეგობების ფონზე, ძალიან ბევრმა მითხრა უარი უკრაინელების და რუსების მიღებაზე. თითქმის ყველა მეუბნებოდა: ხვალ და ზეგ ისევ აქ, ამ ადგილას უნდა ვიცხოვრო და ვინმე ქართველი, ჩვენებური მომიყვანეო. ამიტომ, იმ ოჯახებში, სადაც თავიდან დაახლოებით 20 ადგილი დავითვალეთ, მაქსიმუმ 10 ვიზიტორი შევიყვანე. ზოგი პირდაპირ მეუბნებოდა, ოჯახი მყავს და არ მინდა ვიღაც არანორმალურები შემოვიყვანოო, ზოგმა- მეზობლების სალაპარაკო არ მინდა გავხდეო. ფესტივალს ძალიან ცოტა ქართველი დაესწრო და ყველასთან როგორ უნდა გადამენაწილებინა? არადა, თუ ერთი უკრაინელი ან რუსი სტუმარი დღე-ღამეში 70 ლარს იხდიდა, ქართველმა 30 გადაუხადა... თითქმის ყველა ადგილობრივს სტუმრების მასპინძლობის თანხა წინასწარ გადავუხადეთ. შემდეგ რაღაც გაუთვალისწინებელი შემთხვევები მოხდა: იყო შეთმხვევა რომ დამსვენებლები ადრე წავიდნენ, ისეთი შემთხვევაც იყო, რომ გოგონამ ხელი მოიტეხა “როლიკებზე” სეირნობისას და მისი თანხა დავიბურნეთ”,-ყვებიან ფესტივალის ორგანიზატორები.

ტურისტულ კომპანია “ჯორჯია ოქეიში” კი აცხადებენ, რომ ყველა ადგილობრივს წინასწარი შეთანხმებით გათვალისწინებული თანხა უკვე გადასცეს და შესაბამისად, უკმაყოფილების მიზეზი არ არსებობს.

კაზანტიპის თაობაზე განმარტება ხელისუფლების წარმომადგენელმაც გააკეთა:

„კაზანტიპი” მდარე ხარისხის ფესტივალია, რომელმაც საქართველოში არ გაამართლა, - ამის შესახებ ჟურნალისტებს ეკონომიკის მინისტრმა და ვიცე პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა განუცხადა.

მისივე აზრით, ანაკლიის განვითარებისთვის სახელმწიფოს გაცილებით დიდი შესაძლებლობები აქვს.

“ვერ გეტყვით, ეს ფესტივალი გაგრძელდება თუ არა. გეტყვით, რომ მოლოდინები იყო გაზვიადებული, რაც არასწორი იყო ცალკეული პირების მხრიდან. ვფიქრობ, რომ ჩვენ ძალიან ბევრი შესაძლებლობა გვაქვს, რათა ანაკლიის განვითარება მოვახდინოთ და იქ ჩავატაროთ გაცილებით ხარისხიანი ფესტივალი. ამ ფესტივალს განსაკუთრებული როლი არ უნდა მივანიჭოთ. რა თქმა უნდა, ეს არის გემოვნების საკითხი, თუმცა პირადად მე ვფიქრობ, რომ ეს არ არის მაღალი ხარისხის ფესტივალი”, - აღნიშნა კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით,, სახელმწიფოს შეუძლია სხვა გზებით წაახალისოს ზღვისპირეთის ტურიზმი და სხვანაირად დაეხმაროს იმ ადამიანებს, ვისაც აქვთ სურვილი, რომ ამაში იყვნენ ჩართულნი, თუმცა დაბრალება ეკონომიკის სამინისტროზე, რომ ვინმესთვის ხელი შეგვეშალა, არ ყოფილა.

“კაზანტიპი” არის ძალიან მდარე ხარისხის ფესტივალი, რომელმაც არ გაამართლა. ადგილობრივ კულტურაში ფეხი ვერ მოიკიდა. ამით ჩვენ არც ურჩხული გაგვიკეთებია და არც გვითქვამს, რომ ფესტივალით აშენდებოდა ქვეყანა”, - განაცხადა **გიორგი კვირიკაშვილმა.** ეკონომიკის მინისტრის განმარტებით, “ჩვეულებრივი ამბავია, რომ ამ ბიზნესმა საქართველოში ვერ გაამართლა”. “ალბათ, უკეთესი გათვლები უნდა გაეკეთებინათ”, - აღნიშნა მინისტრმა.

ინგა შიოლაშვილი

ნატოს სამიტი და საქართველო

(პირველი გვერდიდან)

რამდენად ოპტიმისტურია ექსპერტების განწყობა საქართველოში, როგორ უნდა გაგრძელდეს მუშაობა MAP-ისთვის და რა მექანიზმებით უნდა შეაჩეროს ქვეყანამ რუსეთის მხრიდან სავარაუდო აგრესია, უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე?

უელსის სამიტის კვალდაკვალ გაძლიერდება საქართველოს თავდაცვისუნარიანობა და ქვეყანა კიდევ უფრო დაცული გახდება - ამ შინაარსის განცხადებები, დეტალების დაკონკრეტების გარეშე, ბოლო დღეებში საქართველოს ხელისუფლების არაერთმა წარმომადგენელმა გააკეთა და გარკვეულწილად სწორედ ამაზე მიანიშნებს ნატოს ლიდერთა ცალკეული კომენტარებიც.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მხრივ ენიჭება საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის, შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ბარაკ ობამას მიერ 3 სექტემბერს, ესტონეთში ვიზიტის დროს წარმოთქმულ სიტყვებს, როდესაც პრეზიდენტი ალიანსის წევრი და პარტნიორი სახელმწიფოების თავდაცვისუნარიანობის სიმტკიცეზე ლაპარაკობდა. „მეტი უნდა გავაკეთოთ ნატოს სხვა პარტნიორების, მათ შორის, საქართველოსა და მოლდავეთის დასახმარებლად, რათა გავაძლიეროთ ასევე მათი თავდაცვის უნარი“, - თქვა ობამამ ტალინში და მის ამ სიტყვებს მქუხარე ტაშიც მოჰყვა.

ოდნავ უფრო ადრე, კერძოდ, 1 სექტემბერს, საქართველოსთვის შესათავაზებელი "არსებითი პაკეტის" გარშემო საუბრისას, ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა ძირითადი ელემენტები ჩამოთვალა და ამ ჩამონათვალში საქართველოს განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ერთმა კონკრეტულმა დეტალმა:

"სამხედრო წვრთნები ასევე შესაძლებელია ჩატარდეს საქართველოშიც - იმ კონკრეტული მიზნით, რომ ამ წვრთნებში ჩართული იყვნენ ნატოს პარტნიორები. ჩვენ ასევე განვიხილავთ საქართველოში სამხედრო საწვრთნელი ცენტრის შექმნის საკითხს - იმავე კონკრეტული მიზნით, რომ მასში ჩაერთონ ნატოს პარტნიორები. შესაძლოა ამ საწვრთნელ ცენტრს რეგიონალური მნიშვნელობა მიენიჭოს."

„უელსში ჩვენი შეხვედრა ამ კვირაში სახეცვლილ მსოფლიოს პირობებში ტარდება. სამიტი პასუხს გასცემს შეცვლილი მსოფლიოს გამოწვევებს. შესაბამისად, მე იმედი მაქვს, რომ ეს სამიტი გადამწყვეტი მნიშვნელობისა გახდება ნატოს ისტორიაში“.

ანდერს ფოგ რასმუსენის თქმით, უელსის 4-5 სექტემბრის სამიტზე დადასტურდება, რომ ალიანსი არის მზად, შესწევს უნარი და აქვს ნება, რომ ნებისმიერი თავდასხმისაგან დაიცვას ყველა თავისი მოკავშირე. ამ კონტექსტში ნატოს წარმავალმა გენმდივანმა ახსენა ნატოს მზადყოფნის სამოქმედო გეგმა (Readiness Action Plan), რაც ალიანსს, როგორც არასდროს, ისეთ სიცოცხლისუნარიანს გახდის:

„მზადყოფნის სამოქმედო გეგმა პასუხია რუსეთის აგრესიულ ქმედებაზე. ამასთან, იგი ალიანსს შეაიარაღებს იმისათვის, რომ გაუმკლავდეს უსაფრთხოების ყველა გამოწვევას იქ, სადაც ისინი იჩენენ თავს“.

ნატოს უელსის სამიტის წინა პრესკონფერენციაზე, 1 სექტემბერს, ანდერს ფოგ რასმუსენი შეეხო საქართველოსა და უკრაინის საკითხს. ალიანსი მზად არის უკრაინის ნატოში გაწევრიანების საკითხს დაუბრუნდეს მას შემდეგ, რაც ქვეყნის ხელისუფლება შეცვლის ამჟამად არსებულ ბლოკგარეშე ქვეყნის სტატუსს, საქართველოს კი ნატოს გენერალური მდივანი თავდაცვის შესაძლებლობათა განვითარების მისიისა და რეგიონალური განზომილების სავარაუდო საწვრთნელი ცენტრის შემქნას შეჰპირდა:

„ჩვენ საქართველოში შევქმნით, როგორც ჩვენ ვუწოდებთ, თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების მისიას, რომელიც უპირატესად ფოკუსირებული იქნება თავდაცვის სამინისტროზე და საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროების რეფორმების გაგრძელებასა და მოდერნიზებაში დაეხმარება“.

2008 წლიდან მოყოლებული, საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროები განუწყვეტელი დაკვირვების ქვეშ არის ნატოს მხრიდან, რომელიც საქართველოსთან გაწევრიანების სამოქმედო გეგმის ერთგვარი სუროგატის, ყოველწლიური ეროვნული პროგრამის ფარგლებში პერმანენტულად გზავნის შეფასების მისიებს. საბოლოო ჯამში, ჩრდილოატლანტიკური საბჭო ყოველთვის წარმატებით აფასებდა და სხვა პარტნიორი წევრი ქვეყნებისთვის სანიმუშოდაც კი მიიჩნევდა საქართველოს მიერ თავდაცვის სფეროს რეფორმირებისა და მოდერნიზების კუთხით ნაჩვენებ პროგრესს.

შესაბამისად, იბადება შეკითხვა: რამდენად რელევანტურია თავდაცვის შესაძლებლობათა განვითარების მისიისა და მხოლოდ ნატოს პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობით სავარაუდო საწვრთნელი ცენტრის შექმნა ქვეყნისათვის, რომელიც მეხუთე წელია ელოდება ნატოში გაწევრიანების მკაფიო საგზაო რუკის - გაწევრიანების სამოქმედო გეგმის - მიღებას.

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი მიესალმება, თუმცა მას, უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, ამგვარი შემოთავაზება დროში გაჭიანურებულად მიაჩნია და ამბობს, რომ ის საქართველოსთვის მნიშვნელობით, უბრალოდ, ვერ ჩაანაცვლებს გაწევრიანების სამოქმედო გეგმას - MAP-ს:

"კი, ეს გააძლიერებს საქართველოს პარტნიორობას ნატოსთან, მაგრამ ის, ჩვენ რაც გვინდა, ანუ ნატოს მხრიდან ჩვენი უსაფრთხოების დაცვის რეალური პრაქტიკული ნაბიჯები, ეს ცენტრი ამ ეტაპზე ამას ვერ შეცვლის... საუბარია დღეებზე და თვეებზე, ისე სწრაფად იცვლება სიტუაცია... და სანამ ცენტრი აშენდება, სანამ ის ფუნქციონირებას დაიწყებს, ეს რეალური გამოსავალი არ არის ამ ეტაპზე. მშვიდობიანობის დროს ეს შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო, მაგრამ ახლა მოქმედებაა საჭირო, მეტი არაფერი... ეს, რა თქმა უნდა, არ ცვლის არც MAP-ის მოცემას და არც ნატოს სრულუფლებიან წევრობას".

სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორი ირაკლი მენაღარიშვილი არ იზიარებს აზრს, თითქოს არსებით პაკეტში" შემავალ კომპონენტებს ნატო საქართველოს MAP-ის სანაცვლოდ, ერთგვარი მანუგეშებელი ჯილდოს სახით სთავაზობდეს. ანალიტიკოსი თვლის, რომ MAP-ს ამ ეტაპზე ალიანსი საქართველოს იმის გამო არ ანიჭებს, რომ ობიქტურად საქართველო არ არის ამისთვის მზად და რომ ამაში გასაკვირი არაფერია. დანარჩენს კი, რაც ახლა ხდება, ირაკლი მენაღარიშვილი ალიანსის თანმიმდევრული გეგმების ჯაჭვში განიხილავს:

"ნატოს აქვს აღებული ვალდებულება საქართველოს, როგორც პარტნიორის, წინაშე, რომ გააძლიეროს მისი თავდაცვისუნარიანობა. ეს ვალდებულება მას ყველა პარტნიორთან აქვს, ხოლო საქართველო ამ პარტნიორთა რიგში, მართლაც, ერთ-ერთი გამორჩეულია - მის მიერ შეტანილი წვლილითა და ერთგულების თვალსაზრისით... არის თუ არა ეს ნატოს ინტერესი? რა თქმა უნდა, არის. ამით ნატო არა მხოლოდ თავის მოკავშირეებს აძლიერებს სამხედრო თვალსაზრისით, არამედ, დემოკრატიული პრინციპების გაძლიერების გზით, ყოფილ კომუნისტურ სივრცეში იმ ღირებულებებს აფუძნებს, რომელზეც თითონ არის დამკვიდრებული".

ირაკლი მენაღარიშვილი დარწმუნებულია, რომ ეს არ არის წვრილ მოგებაზე ორიენტირებული მიზანი, არამედ "ეს არის ღირსეული მიზანი ღირსეული ალიანსისა". მაგრამ საქართველო, რომელიც მუდმივად ადასტურებს ერთგულებას ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის უალტერნატივო არჩევანის მიმართ, მოკლევადიან პერსპექტივაში რუსეთის სავარაუდო აგრესიის შემაკავებელ მექანიზმებს საჭიროებს. ირაკლი მენაღარიშვილი დეტალების დაკონკრეტებისგან თავს იკავებს, თუმცა დარწმუნებულია, რომ უელსის სამიტის კვალდაკვალ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებელი კონკრეტული ღონისძიებები გამოიკვეთება.

ასეთი ნაბიჯების ხილვას ყოფილი თავდაცვის მინისტრი, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის ყოფილი მოადგილე ბათუ ქუთელიაც იმედოვნებს. როგორც ის ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, თავდაცვითი სისტემების მოწოდება ორმხრივ ფორმატში უფრო შეერთებული შტატებისგან არის მოსალოდნელი:

"ასეთი შემაკავებელი ფაქტორი შეიძლება იყოს საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის დამატებით საჰაერო თავდაცვის, ანტისატანკო და ანტიმობილური სისტემების გადაცემა და ამ სისტემების აქტიურად ჩართვა რეგიონალური უსაფრთხოების ფორმატშიც. ნატოს ფარგლებში არის როგორც მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატები, ასევე არის ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატები. ორმხრივ ფორმატში შესაძლოა უფრო სწრაფად და დაჩქარებულად მოხდეს, მაგალითად, გარკვეული შესაძლებლობების გადმოცემა საქართველოსთვის - მაგალითად, საჰაერო და ანტისატანკო სისტემებისა აშშ-თან ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატში. ეს იქნება ასევე ძლიერი პოლიტიკური გზავნილი რუსეთის ფედერაციის მისამართით".

დაბოლოს, კიდევ ერთი ინფორმაცია: პრეზიდენტ ობამას ესტონეთში ვიზიტის შემდეგ CNN-მა, უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საჭოს ცნობებზე დაყრდნობით, გაავრცელა ინფორმაცია სექტემბრის ბოლოსთვის უკრაინის ტერიტორიაზე მრავალეროვანი სამხედრო წვრთნების ჩატარების თაობაზე. წინასწარი ინფორმაციით, პროცესში ჩართული იქნება 200 ამერიკელი სამხედრო და კიდევ 1000 სამხედრო უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, ბრიტანეთიდან, კანადიდან, საქართველოდან, გერმანიიდან, ლატვიიდან, ლიტვიდან, მოლდავეთიდან, ნორვეგიიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან და ესპანეთიდან.

თავიდანვე არჩევანი ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე გავაკეთე

უკვე ერთი თვეა, დასრულდა უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებელი ეროვნული გამოცდები და მისი შედეგებიც გამოქვეყნდა. შედეგად ათასობით ახალგაზრდა ჩაირიცხა სხვადასხვა უნივერსიტეტში, 2014 წელს აბიტურიენტთა დაფინანსებისათვის გამოყოფილია 9 მილიონ 165 ათასი ლარი, რომელიც თანაბრად იყოფა ჰუმანიტარული და ტექნიკურ-საბუნებისმეტყველო საგნების ჯგუფზე.

თითოეული ჯგუფისათვის გამოყოფილი თანხის 4 % თანაბრად გადანაწილდება შესაბამისი ჯგუფის არჩევით საგნებზე, ხოლო 96 % გადანაწილდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების ყოველი არჩევითი საგნისათვის მოთხოვნილი ადგილების რაოდენობის პროპორციულად.

ნაწილების შედეგად მიღებული თანხების 25% დაეთმობა სრულ (100%-იან) საგრანტო დაფინანსებას, 25% დაეთმობა 70%-იან საგრანტო დაფინანსებას, ხოლო დარჩენილი თანხა — 50%-იან საგრანტო დაფინანსებას.

გაზეთი „შირაქი“ შეეცადა ჩვენს რაიონში მცხოვრები ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე და ახლა უკვე უნივერსიტეტის სტუდენტი ჩაეწერა, რომელმაც გამოცდები წარმატებით ჩააბარა და საგრანტო დაფინანსებაც მოიპოვა. გული გონაშვილი სოფელ სამრეკლოში დაიბადა და გაიზარდა, თუმცა, მის მშობლიურ სკოლად დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლა ითვლება. გული საკმაოდ კარგ ოჯახურ გარემოში იზრდებოდა, სადაც მშობლების სითბო და სიყვარული არ მოჰკლებია. მისი მშობლები ნლებია მოსამსახურეები არიან, იციან სწავლის ფასი, ამიტომ გულის წარმატებაში ჯანსაღი ოჯახური გარემო, სწავლისადმი ხელშეწყობა და ყურადღება, რა თქმა უნდა, დიდ როლს თამაშობდა. დედა, ნათია პოპიაშვილი ნლებია დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგია, მამა-რევაზ გონაშვილი შსს-ს დედოფლისწყაროს სამმართველოს თანამშრომელია. წელს გული გონაშვილი სტუდენტი გახდა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხო ენების ფაკულტეტზე ჩაირიცხა და 50 %-იანი საგრანტო დაფინანსებაც მოიპოვა. ეს რა თქმა უნდა, მის წარმატებაზე მიუთითებს. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

- გული, კონკრეტულად რომელ პროფესიებს შორის გქონდა არჩევანი და უნივერსიტეტში ზუსტად რომელ ფაკულტეტზე ჩაირიცხე?

- თავიდანვე არჩევანი ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე გავაკეთე, ჩავირიცხე უცხო ენების ფაკულტეტზე, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საკმაოდ ადრეული ასაკიდან დავიწყე ინგლისურ ენაში მომზადება, სწორედ ამ დროს "აღმოვაჩინე", (თუ შეიძლება ასე ვუწოდო,) ჩემში უცხო ენებისადმი ინტერესი, ამასთანავე, დიდი როლი ითამაშეს ჩემი ინგლისურის პედაგოგებმა, არასოდეს მეზარებოდა ინგლისურში მეცადინეობა .

- გული, მაინტერესებს რა საგნები ჩააბარე ?

- ხუთი საგანი ჩავაბარე, სამი სავალდებულო და ორი დამატებითი, ისტორია და გეოგრაფია.

- რამ განაპირობა შენში ამ პროფესიის არჩევანი და როდიდან გაგიჩნდა უცხო ენებზე სწავლის აუცილებლობის მოთხოვნა ?

- ჩემს წარმატებაში ასევე დიდი წვლილი მიუძღვით ჩემს მშობლებს, ყოველთვის გვერდით მედგნენ და ყველანაირად ხელს მიწყობდნენ, დედა დაწყებითების მასწავლებელია და პატარაობიდანვე ჩამინერგა სწავლისადმი სიყვარული, მეც ვცდილობდი, არ მეზარმაცა და მგონი, რაღაც გამოვიდა

- როგორ შეაფასებდი შენს მიერ განვლილ თორმეტ სასწავლო წელს, რა იყო ბავშვობის ნლები და რა მოგცა ამ ნლებმა?

- ვფიქრობ, რომ ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდი ჩემს ცხოვრებაში, უდარდელი ნლები და ამასთანავე მნიშვნელოვანი ეტაპი ცხოვრების დიდ ასპარეზზე გასასვლელად.. ვსწავლობდი დაბრკოლებების გადალახვას, რაც ალბათ მომავალში უფრო გამომადგება.

- ვინ იყვნენ შენი საყვარელი პედაგოგები, ვინ იყვნენ შენი რეპეტიტორი პედაგოგები და ვის უმადლი, რომ შენ დღეს უკვე ცხოვრების ახალ და საკმაოდ მომხიბვლელ ფურცელს შლი?

- არ შემიძლია რომელიმე მასწავლებლის განსაკუთრებით გამორჩევა, მე თითოეული მათგანისგან ვგრძნობდი თავდაუზოგავ შრომას, სითბოსა და სიყვარულს. გულახდილად რომ გითხრათ, გამოცდების შედეგების გაგებისას იმას უფრო განვიცდიდი, რომ მათი იმედები გამემართლებინა და მათ ამდენ შრომას ტყუილად არ ჩაევლო.

- რაც შეეხება დაფინანსებას, რამდენად კმაყოფილი ხარ შენი მონაცემებით?

- რაც შეეხება დაფინანსებას, 50%იანი გრანტი მოვიპოვე და ძალიან გამიხარდა, ნახევარი თანხით დაფინანსება, ვფიქრობ, არც თუ ისე ცუდია.

- როგორ წარმოგიდგენია შენი მომავალი და თუ გაქვს კიდევ რაიმე დაგეგმილი სწავლის მხრივ?

- ცოტაოდენი მონდომებაა საჭირო და იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება,ჯერჯერობით კი, არაფერი დამიგეგმავს.

- როგორ აფასებ დღევანდელ განათლების სისტემას, მოგწონს თუ არა ყველაფერი ის, როგორც დღეს ხდება, თუნდაც, გამოცდების ასეთი ფორმით ჩაბარება?

- რაც შეეხება განათლების სისტემას, ნამდვილად არ მომწონს და არ ვეთანხმები ცოდნის ისეთ შეფასებას, როგორიცაა საატესტატო გამოცდები, პირადად მე, საკმაოდ ბევრ ხარვეზს წავაწყდი, რაზეც გული დამწყდა. ჩემი აზრით, ეს სისტემა უნდა შეიცვალოს ან უკეთეს შემთხვევაში, დაიხვეწოს. ეროვნულმა გამოცდებმა კი, უკეთესად ჩაიარა და ბევრ ჩვენგანს საკუთარი თავის რწმენა დაუბრუნა.

- იქიდან გამომდინარე, რომ ბებია ექიმია, რატომლაც მეგონა, ექიმობას აირჩევდი, რამ მოახდინა გავლენა, რომ უცხო ენები აირჩიე?

- უმეტესობას ეგონა, რომ ექიმი გამოვიდოდი, მაგრამ რატომლაც არ ვარჩიე, ეს მეტად საპასუხისმგებლო პროფესიაა, მგონი, მე ექიმად ნამდვილად არ გამოვდგები.

- წარმატებები და ცხოვრებაში უამრავი გამარჯვება მინდა გისურვო!

- გმადლობთ.

ლალი მეხრიშვილი

ერთი დღე სამთაწყაროში

ამასწინათ, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელშეწყობით, სოფელ სამთაწყაროს ვეწვიეთ. ჩვენ გვაინტერესებდა სოფლის ისტორია, მოსახლეობის დღევანდელი ყოფა, კულტურული ცხოვრების დონე.

სოფელი სამთაწყარო, თითქმის, საკოლმეურნეო წყობილების თანატოლია. დღეისათვის სოფელში 433 ოჯახი ცხოვრობს. 1930 წელს აქ 26 ოჯახი დასახლებულა. ისინი აზერბაიჯანის სსრ კახის რაიონის სოფელ ყორღანიდან (საინგილო) ჩამოსულან აქ. მათ შორის საკანელაშვილები, პაპიაშვილები, სარდალაშვილები და ორი ოჯახი ფიროსმანაშვილებიც ყოფილან.

ნათქვამია, ქართველი კაცი სადაც დასახლდება, ვაზის რქაც თან მიაქვსო. ტრადიციისათვის არც სამთაწყაროელებს უღალატიათ და აკი ისეთ ადგილზე დასახლებულან, სადაც ვენახის —ქვეყნის სიმდიდრის მოყვანა-მოშენება შეიძლებოდა, დასახლებულან და პირველ რიგში ვაზი უხარებიათ. მერე კოლმეურნეობაც ჩამოუყალიბებიათ, რომელიც წლების მანძილზე ი.ბ. სტალინის სახელს ატარებდა. დამკვიდრებულან, გაუდგამთ ბორჯი წინაპართა სისხლით გაპოხიერებულ ადგილზე. ბუნებას მთელი თავისი სიმდიდრის კალთა დაუბერტყავს ამ მიდამოზე და განუმეორებელი სილამაზის კუთხე-კუნჭულად უქცევია იგი.



1979 წელს სამთაწყაროს მშრომელი, ძლიერი და მოსიყვარულე აჭარლებიც შემატებიან. პირველი მერცხლები იყვნენ: შოთა კილაძე, რომელიც ედუარდ შევარდნაძემ მონათლა ქრისტიანულად და კომკავშირული ქორწილიც გადაუხადა, იგი შუახევის რაიონის სოფელ ნაღვარევიდან იყო, სანდრო თხილაძე, ისიც ნაღვარევიდან, სიმონ ცინცაძე, შუახევის რაიონის სოფელ ტაკიძეებიდან.

სამთაწყაროში ჩასვლისთანავე მივაკითხეთ სოფლის რწმუნებულს, სტუმართმოყვარე და შესანიშნავ პიროვნებას გულო ნადირაშვილს, რომელმაც მეგზურობა გაგვიწია და შეგვახვედრა რამოდენიმე ძირძველ ოჯახს, საიდანაც წამოვიღეთ მუზეუმისათვის საჭირო მასალები, ფოტოები და ეთნოგრაფიული ნივთები. შემდეგ შევხვდი სამთაწყაროს ერთ-ერთ კოლორიტ პიროვნებას ნოდარ შაინიძეს.

ბატონი ნოდარი შესანისნავი პიროვნებაა, პატრიოტი ადამიანი, ხელოვანი კაცი, რომელმაც სამთაწყაროში ჩამოსვლისთანავე მუშაობა დაიწყო მევენახეობის მეურნეობაში მხატვრული წრის ხელმძღვანელად, ხოლო 1990 წლის მარტიდან სოფ. სამთაწყაროს კულტურის სახლის დირექტორი და საჯარო სკოლაში ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელია.

მისი ინიციატივით კულტურის სახლში ჩამოყალიბდა სხვადასხვა თვითმოქმედი წრეები: ბავშვთა ქორეოგრაფიული წრე, ვოკალური ჯგუფი სატირულ-იუმორისტული ბრიგადა, ახალგაზრდული ქორეოგრაფიული ანსამბლი.

მათი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ყოველთვის დიდი მოწონებით სარგებლობდა, როგორც ადგილობრივ, ასევე გასვლით ფესტივალებსა და კონცერტებში. ნოდარ შაინიძეს მიღებული აქვს საპატიო დიპლომები, ქების სიგელები. იგი რამდენჯერმე იყო სოფლის საკრებულოს წევრი.

ბატონ ნოდარს შეგროვილი აქვს და სათუთად ინახავს თავისი სოფლის და თავისი ხალხის ლამაზ ისტორიებს. იგი ამაგდარია თავისი სოფლის, მისი ავისა და კარგის მნახველი და მოზიარე. სათუთად აქვს დაცული და შენახული მასალები, რომელიც აჭარისა და სამთაწყაროს ისტორიებს და მათ ურთიერთობებს ეხება. მისი სამაგიდო წიგნია ჟურნალისტ გიორგი გოჩიტაშვილის „ვაზის ღიმილი“, რომელიც სამთაწყაროს და მის ხალხს ეძღვნება.

ბატონ ნოდარს 1989 წელს შეუდგენია ფოტო ალბომი სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიაქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის წითელწყაროს რაიონში სტუმრობის შესახებ. მას თან ერთვის ამავე მოვლენის ამსახველი ბროშურა. ვტოვებდით სამთაწყაროს და გული გვწყდებოდა, რომ ამ ხალხს, ამ მშვენიერ ოჯახს ვემშვიდობებოდით. ბატონი ნოდარის შესანიშნავი მეუღლე ქალბატონი ფატი დიდი მრავალშვილიანი ოჯახის დიასახლისია.

ნოდარ შაინიძემ ბევრი კარგი რამ გააკეთა თავისი ხალხისა და ახალგაზრდობის აღზრდა-განვითარების საქმეში, რისთვისაც დიდი მადლობა მას.

ნაყოფიერი გამოდგა ჩვენი სტუმრობა ამ საზღვრისპირა ლამაზ სოფელში, რომელსაც, ვფიქრობთ, მეტი ყურადღება სჭირდება.

თამარ ჯავაშვილი,
დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი.

კანონპროექტი სახელმწიფო ენის დასაცავად

პარლამენტში ინიცირებულია „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონპროექტი. საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, უნდა განისაზღვროს სახელმწიფო ენის სტატუსი. შეიქმნება ასევე სახელ-

მწიფო ენის ნორმების დამდგენი კომისია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებს. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის ივანე კილურაძის განმარტებით, შეიქმნება სახელმწიფო ენის დეპარტამენტიც, რომელსაც ენის ნორმების დადგენა და მათზე ზედამხედველობა დაევალება. ენათმეცნიერები ფიქრობენ, რომ საკანონმდებლო ინიციატივა დროული და აუცილებელიც იყო.

„სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონის ინიცირებასთან ერთად ცვლილებები შევა „მაუწყებლობის შესახებ კანონშიც“. ინიციატივა, კანონის დონეზე დარეგულირდეს ენის ნორმები, ეკუთვნის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტს. ამასთან, როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ბიუროს სხდომაზე განაცხადა, კანონპროექტს გავლილი აქვს ვენეციის კომისიის ექსპერტიზაც. დავით უსუფაშვილის განმარტებით, ასეთი გრძელი გზის გავლა კანონპროექტს მისი უკიდურესად მაღალი სახელმწიფოებრივი ინტერესის გამო მოუწია.

როგორც გამოცემა „ლიბერალთან“ საუბარში პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ივანე კილურაძემ განმარტა, შეიქმნება სახელმწიფო ენის ნორმების დამდგენი კომისია და გამოყენებული იქნება გარკვეული სანქციები ნორმების დარღვევისთვის, თუმცა ეს არ შეეხება ზეპირმეტყველებაში დაშვებულ შეცდომებს:

„ენის ნორმებს ადგენენ სპეციალისტები, სპეციალისტებისგან შეიქმნება სახელმწიფო ენის ნორმების დამდგენი კომისია, რომლის ხელმძღვანელიც იქნება ქვეყნის პირველი პირი - პრემიერ-მინისტრი, აგრეთვე შეიქმნება სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, რომელსაც დაევალება ენის ნორმების გატარება... ჯარიმები იშვიათ შემთხვევებში იქნება გამოყენებული, მაგალითად, თუ დაირღვა აბრების წარწერები, - ეს ჩვენს მოსახლეობას ხომ აღიზიანებს. მედიას არავითარი სანქციები ამასთან დაკავშირებით არ უწესდება“.

ენის სიწმინდის დაცვის საკითხზე მუშაობა 1988 წლიდან დაიწყოო, ამბობს ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი ავთანდილ არაბული. მისი თქმით, სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი საფუძველია სახელმწიფო ენა და მისი ნორმები კანონმდებლობით უნდა იყოს დარეგულირებული. ყველა ნორმალურ ქვეყანაში ენის ნორმების დაცვა მოაგვარეს სწორედ ასე, ანუ კომისიის შექმნით. ასე მოხდა მრავალ ევროპულ ქვეყანაში:

„ყველა - ჟურნალისტიც, მეცნიერიც, პედაგოგიც და სხვა - კანზე ვგრძნობთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, და ყურით ვისმენთ, რა მდგომარეობაა სახელმწიფო ენის ფუნქციონირების თვალსაზრისით. ნორმები და სახელმწიფო ენის სიწმინდის დაცვა ერთია, მაგრამ მეორეა, რამდენად აქვს სახელმწიფო ენას ის უფლებამოსილება, რომელიც მას კონსტიტუციით აქვს განსაზღვრული. თბილისიდან ბათუმამდე რომ ვიმგზავროთ, აღმოვაჩენთ, რომ რამდენიმე ათასი - ორი ათასზე მეტიც - წარწერა არაქართულენოვანია, ქართულის გარეშე არის გამოკრული აქა-იქ. რომ წავიდეთ რეგიონებში, ვნახავთ, რომ, ქართული ენის გამოყენების თვალსაზრისით, ძალიან მძიმე მდგომარეობაა. მთელ რიგ ორგანიზაციებში სახელმწიფო ენის უფლებები არ არის დაცული. ასე რომ, ობიექტურად ნამდვილად არსებობს მოთხოვნა იმისა, რომ, როგორც ყველაფერი ცივილიზებულ ქვეყანაში რეგულირდება კანონების საფუძველზე, ამ სფეროში დარეგულირდეს კანონებით სახელმწიფო ენის უფლება-მოვალეობანი“.

ავთანდილ არაბულის თქმით, სანქციები იარსებებს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ენის ფიზიკურად ფიქსირებულ გამოსახულებებზე, ანუ სარეკლამო და გარე წარწერებზე. რეგულაციები არ შეეხება სამეტყველო ენას.

ენის სიწმინდის დასაცავად იარსებებს ორი ინსტიტუცია: ერთი - საზოგადოებრივი - ეს არის სახელმწიფო ენის სახელმწიფო კომისია, რომელიც თანამედროვე სალიტერატურო ენის



ნორმებს თავიდან დაამტკიცებს და ორთოგრაფიულ ლექსიკონცნობარებს გამოაქვეყნებს და შემდეგ მისი დაცვის აუცილებლობის პროპაგანდას შეუდგება - და, მეორე, შეიქმნება სახელმწიფო ენის დეპარტამენტი. ეს იქნება სამთავრობო სტრუქტურა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს კანონისა და ნორმების განხორციელებას.

სახელმწიფო ენის შესახებ კანონის არსებობის უცილებლობა უკვე დიდი ხანია დგასო, ამბობს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ რედაქტორი ანა ჭაბაშვილი. მისი თქმით, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ქართული ენის სიწმინდე და მისი ნორმები საბჭოთა დროში გაცილებით უკეთ იყო დაცული და ამ საქმეს კურირებდა სახელმწიფო კომისია, ანუ სახელმწიფო მხარს უჭერდა ენის სიწმინდის დაცვას. ნორმებს ადგენდა ენათმეცნიერების ინსტიტუტი და სახელმწიფო უნივერსიტეტი და ზედამხედველობას უწევდა სახელმწიფო კომისია, რომ პრესაში, გამომცემლობებში, წიგნებსა თუ სახელმძღვანელოებში დაცული ყოფილიყო ქართული ენის ნორმები. ანა ჭაბაშვილის თქმით, ენა ვითარდება, წესები იცვლება, მაგრამ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ანუ თითქმის 20 წელია, ენის სიწმინდის დაცვაზე ძალიან ნაკლებად ზრუნავდნენ. მართალია, იქმნება სხვადასხვა დამხმარე საშუალებები, წიგნები, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი და თუ აქტიურად იმუშავებს ეს კომისია, დიდი პროგრესი იქნება ენის სიწმინდის დაცვაში:

„ბევრი მსჯელობს ასე: ენა განვითარდა და დღეს ყველა ასე ამბობს - ჩნდება ახალი სიტყვები, ახალი გამოთქმები, რომლებიც მანამდე არ არსებობდა. ბევრი ვიცით ასეთი, აქამდე არარსებული სიტყვები. მაგალითად, როცა ამბობენ „დამიხურდავეს“ მაგივრად „დამიშალე“ - ეს ისე შემოვიდა ენაში, რომ ის ლამისაა ენის კუთვნილება გახდეს და ენის კუთვნილება ესა თუ ის სიტყვა ხდება მაშინ, თუ მას იხმარს მედია და მწერალი. და რამდენად საჭიროა ასეთი სიტყვების დამკვიდრება, რამდენად უნდა გავუწიოთ მათ წინააღმდეგობა, თუ არ გავუწიოთ ან ვერ გაუწიოთ? აი, ეს არის ცალკე საკითხი“.

ანა ჭაბაშვილის თქმით, მეორე საკითხია ენაში უცხო სიტყვებისა და ტერმინების შემოდინება. დღეს მთლიანად შეწყვეტილია ენაზე მუშაობა ამ თვალსაზრისით და ახალი ტერმინები კი არ ითარგმნება, მაგალითად, ფსიქოლოგიაში, არამედ უკვე არსებული და დამკვიდრებული ქართული შესატყვისი ტერმინებიც იგნორირებულია და ისევ უცხო ტერმინოლოგიას უბრუნდებიან.

როგორც ენათმეცნიერი ავთანდილ არაბული ამბობს, სპეციალისტები ყოველდღიურად დააკვირდებიან სალიტერატური ენის დარღვევებს და, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შემდეგ, ამ განზოგადებულ შეცდომებს მედიას და სხვადასხვა ორგანიზაციებს მიაწვდიან.

მონატრება

ვასიკო (ბასა) ბეგიაშვილი

ადამიანის სიცოცხლე ერთი წამია, ერთი გაელვებაა. ამ ტკივილიან სტრიქონებს ახლა შენზე ვწერ, ჩემო ტკბილო ვასიკო ძია. მწარე ცრემლებით დაგტირის მთელი სანათესაო, რომელსაც მოულოდნელად გამოაკლდი.

ჩემო ვასიკო ძია, თქვენ ვაჟკაცური, ამაყი ნაბიჯებით დადიოდით დედოფლისწყაროში, თქვენი სახელი ჩვენს სანათესაოში ჩირაღდანივით ენთო. ჩვენს საიმედოდ თქვენს ტკბილ და ერთგულ ოჯახში ორი ექიმი: ნინო და დათო აღიზარდა. დათო ქ. თბილისში ლეჩკომბინატის მთავარი ექოსკოპისტი, ნინო კი-ჩვენი რაიონის ყელ-ყურის ექიმია. ისინი ერთობლივად იბრძოდნენ შენი ჯანმრთელობისათვის, მაგრამ უკურნებელმა სენმა თავისი გაიტანა და მარიამობის დღესასწაულზე სამუდამოდ მიაბარე სული უფალს.

დატოვე გამწარებული შვილები და საამაყო მეუღლე ნორა, მშრომელი, ოჯახის დიდი დიასახლისი.

ჩვენ კი, ახლობლებს, დაგვიტოვე ტკბილ-მწარე მოგონებები, ცრემლით დანამული ფოტოები და გადაინაცლე იქ, სადაც გელოდებიან ჩემი დედიკოს აწ გარდაცვლილი და-ძმა და ახლობლები. ღმერთმა თქვენს სულებს მოჰფინოს ნათელი.

წახვედი, დაგვტოვე, მაგრამ ჩვენს გულში ყოველთვის გექნება ადგილი, ჩვენი სანათესაო ისევ შენით იამაყებს.

დიდი სიყვარულით და მონატრებით,
სანათესაოს სახელით, მაია მოსულიშვილი

ნადირობისათვის აკრძალული ხერხები და საშუალებები საქართველოში

აკრძალულია ნებისმიერი სახის ასაფეთქებელი და სხვა საშუალებით ნადირობა, რომელიც ტანჯვას აყენებს გარეულ ცხოველს.

მცენარეული საფარის დაწვით ნადირობა;

გარეულ ფრინველთა კვერცხის შეგროვება და გაყიდვა (გარდა ფრინველთა აღწარმოების მიზნით სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით

გათვალისწინებული შემთხვევებისა);

ცხოველთა ბუდეების, ბუნაგების, საცხოვრებელი ადგილების მოშლა, ან განადგურება;

ცხოველთა მასობრივი მოპოვების საშუალებებით — ყოველგვარი კუსტარული ან ქარხნული წესით დამზადებული ბადეებით (გარდა დამჭერი მტაცებელი

ფრინველების ნებადართული მოპოვების შემთხვევებისა), ხაფანგებით, მარყუჟებით, აგრეთვე ორმოებით, სარეგვავებით (სარეჯგველების) ნადირობა;

ხმოვანი სიგნალების გამომცემი ელექტრონული (მათ შორის, ავტონომიურ კვების წყაროზე მომუშავე) მოწყობილობების მეშვეობით ე. წ. “მანიოკებით” - ფრინველის მოზიდვა, საწამლავით, საწადირო იარაღზე დამონტაჟებული რეფლექტორებით, ასაფეთქებელი საშუალებების გამოყენებით, თოფებისა და სხვა თვითმსროლელი იარაღების დაგუშაგება;

ნადირობა და/ან ცხოველთა მოპოვება (დაჭერა) თვითმფრინავიდან, ვერტმფრენიდან, ავტომობილიდან, მოტოციკლეტიდან, კატარღებიდან, ძრავიანი ნავებიდან და სხვა მოტორიანი სატრანსპორტო საშუალებებიდან, მათ შორის, ღამით განათებული ფარებისა და პროჟექტორების მეშვეობით, ცხოველთა დევნა სატრანსპორტო საშუალებებით, წყალმცურავ ფრინველებზე ნადირობა ძრავაგამოურთველი მოტორიანი ნავებიდან და კატერებიდან (მოპოვება დევნით), ასევე ნადირობა ღამის ცეცხლის დანთებით;

სტიქიური უბედურებების (წყალდიდობა, ხანძარი, დიდი თოვლი და სხვა) დროს დაუძლურებული ცხოველების მოპოვება, აგრეთვე მათზე ნადირობა წყალში გადასვლისას ან სხვა დაბრკოლებების გადალახვისას, მათ შორის, სტიქიური უბედურებისაგან თავის დაღწევის დროს;

ცხოველების ბუნაგებიდან გამოდევნა მათი შებოლვით ან დატბორვით, აგრეთვე სოროების გათხრით;

მსხვილი ჩლიქოსნებისა და დათვის მოპოვება მცირეკალიბრიანი სანადირო იარაღითა და საფანტით, რომლის დიამეტრიც 5 მმ-ზე ნაკლებია.

ყურადღება

დედოფლისწყაროს სამედიცინო და ჰუმანიტარული კერძო სასწავლებელი აცხადებს მილებას 2014-2015 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობებზე:

- მედდის საქმე;
- სამეანო საქმე;
- ფარმაცია;
- ორთოპედიული სტომატოლოგია;
- სამართალმცოდნეობა;
- უცხო ენა;
- დაწყებითი განათლება;
- ბიზნესის მენეჯმენტი;
- ფინანსები და ეკონომიკა (საბუღალტრო);
- ლაბორატორიული დიაგნოსტიკა;
- ჟურნალისტიკა;
- ვეტერინარია;

სწავლა ფასიანია. საწავლებლად მიიღებიან 9, 10, 11 და 12 კლასდამთავრებულები.

სწავლების ვადა 2 წელი.

ჩარიცხვა გასაუბრებით!

საბუთების მიღება დაიწყო 26 აგვისტოდან.

საჭიროა წარმოადგინოთ: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, 4 ფერადი ფოტოსურათი (ზომით 3/4) და პირადობის მოწმობის ასლი.

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ. №32 (დედოფლისწყაროს არქივის შენობა, მეორე სართული).

საკონტაქტო
0356 22 52 73; 599 74 73 98.

სტიქია დედოფლისწყაროში

4 სექტემბერს ღამით, დაახლოებით 21:30 საათზე ძლიერმა ქარმა დედოფლისწყაროში მრავალბინიან კორპუსს სახურავი გადახადა. როგორც თვითმხილველებმა გაზეთ „შირაქს“ აცნობეს დაზიანებულია ქალაქ დედოფლისწყაროში ჰერეთის ქუჩაზე მდებარე მრავალსართულიანი კორპუსი. გადახდილი სახურავი შენობასთან მდგარ ავტომანქანებს დაეცა, რის შედეგადაც რამდენიმე ავტომობილი დაზიანდა.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყვნენ სამართალდამცველები და სახანძრო-სამაშველო სამსახურის ეკიპაჟები. ადგილზე მივიდნენ დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილიც. დედოფლისწყაროს გამგებლის, განცხადებით, დაზიანებული სახურავის შეკეთება იმავე დღეს დაიწყო, ხოლო მოხდება თუ არა დაზარალებული ავტომობილების მეპატრონეების დახმარება ჯერჯერობით უცნობია.

„ნაწილობრივ გადახადა სახურავი, ყველა სამსახური ადგილზეა, მთავარია არავინ დაზარალებულა და ვეცდებით სტიქიას გავუმკლავდეთ და ხარვეზები დროულად აღმოიფხვრას,“ — განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

დაზარალებულების განმარტებით, ამ კორპუსის სახურავი რამდენიმე წლის წინ მთლიანად გამოიცვალა, თუმცა ამის მიუხედავად სტიქიამ უკვე მესამედ გადახადა. ჩვენი გაზეთის საარქივო მასალების მიხედვით, ამის გამო სამუშაოთა მწარმოებელი კომპანია დაჯარიმდა კიდეც.

თავის მხრივ ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ სტიქიით დაზარალებული ავტომანქანების მფლობელებიც. ისინი ხელისუფლებისგან კომპენსაციის გაცემას მოითხოვენ.

ზოგიერთ მონაკვეთში შეწყვეტილი იყო ელექტრომომარაგებაც. როგორც გაირკვა, ძლიერმა ქარმა ელექტროსადენები დააზიანა, რის გამოც დენის მიწოდება შეუწყდა სოფლებს არბოშიკს, ზემო მაჩხაანს, მირზაანსა და ოზაანს. უამინდობას ზემოთ აღნიშნული შემთხვევის გარდა, მუნიციპალიტეტის არცერთი ტერიტორიული ერთეულისთვის ზიანი არ მიუყენებია.

იმავე ღამეს ძლიერი ქარი და წვიმა იყო კახეთის თითქმის ყველა რაიონში. დასეტყვილია თელავისა და ყვარლის რაიონები, განადგურდა ასობით ჰექტარი ვენახი.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

კლარა ოზაშვილს!
გუგული ალადაშვილს!

ჩვენო კეთილო და სათნო მეზობელო, გულით და სულით გილოცავთ წარმატებული დედოფლისწყაროელის ტიტულის მინიჭებას. ნამდვილად ღირსი ხართ ამ ტიტულის. კვლავ დიდხანს სიცოცხლეს და ტკბილ სიბერეს გისურვებთ თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

ვსარგებლობთ შემთხვევით და თქვენს შვილიშვილს, თორნიკე ალადაშვილს ვულოცავთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩარიცხვას 100%-ანი დაფინანსებით. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, წარმატებებს სწავლასა და პირად ცხოვრებაში.

პატივისცემით:
ნანა მანჯაფარაშვილი, თენგიზი, თემური, ქეთი და ჟანა ჯალიაშვილები

კლარა ოზაშვილს!
გუგული ალადაშვილს!

გვიხარია, რომ ბედნიერი პაპა-ბებია ხართ: ექვსი შვილიშვილი გყავთ და ერთი-ერთმანეთზე უკეთესები, გულს რომ უხარია და ეამაყება, სწორედ ისეთები- ლამაზები, ჭკვიანები, გონიერები, მიზანსწარაფულები და... ბებიასავით იღბლიანები. უფლის წყალობა არ მოაკლდეს თითოეულ მათგანს.

კიდევ ერთი წარმატებით გაიხარა თქვენმა გულმა ამ ზაფხულის მიწურულს: თორნიკე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა ასპროცენტიანი დაფინანსებით. ვულოცავთ თორნიკეს, მის მშობლებს - ალიკა ალადაშვილს და რუსუდან ბალხამიშვილს და გილოცავთ თქვენ. სულ წარმატებული იყოს მისი ცხოვრება.

პატივისცემით, თქვენი „შირაქელები“.

ყურადღება!

იყიდება რესტორანი “შუა ქალაქში” ქ.დედოფლისწყარო, ფალიაშვილის ქ.№5 (ყოფილი “კეტჩის” ტერიტორია)
საკონტაქტო ტელეფონი:
599 67 77 99

ყურადღება!

თუ თქვენ მეტყველების პრობლემა გაქვთ და ლოგოპედი გჭირდებათ, შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე 591 93 73 10 ან 593 96 10 66 და იკითხოთ ირინა, თქვენ შეღავათიან ფასად მოგემსახურებათ დედაქალაქში თერთმეტწლიანი მუშაობის გამოცდილების მქონე, კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც დაგეხმარებათ მეტყველების ნებისმიერი დარღვევის დაძლევაში.

რომელია კვირის ყველაზე უიღბლო დღე?

ლონდონის ეკონომიკური სკოლის სპეციალისტებმა გამოთვალეს, რომ კვირის ყველაზე უიღბლო დღე სამშაბათია და არა ორშაბათი, იტყობინება „The Daily Telegraph“-ი.

ამ დასკვნამდე მეცნიერები მას შემდეგ მივიდნენ, რაც დიდ ბრიტანეთში მცხოვრები 20 ათასი ადამიანი გამოკითხეს. გამოკითხვის მონაწილეებს კვირაში ორჯერ თავიანთი ემოციური მდგომარეობის შესახებ ანგარიში უნდა ჩაებარებინათ. მათ უნდა ეპასუხათ კითხვებზე, თუ სად და როგორ განწყობაზე იყვნენ.

“მესაძლოა, ხალხს ორშაბათი უფრო მოსწონს, რადგან კარგად გატარებული შაბათ-კვირის შესახებ მეხსიერებაში ჩარჩენილი მოგონებები ჯერ ისევ ახალია. სამშაბათს კი გონება სამუშაოთი იტვირთება და ადამიანები აცნობიერებენ, რომ სანატრელ შაბათ-კვირამდე მთელი კვირაა დარჩენილი”, - აცხადებს გამოკვლევის ერთ-ერთი ავტორი ჯორჯ მაკკერონი.

იყიდება

იყიდება ორსართულიანი ბინა, კარგად გაწყობილი, ყველა სათავსოთი, 8 ოთახი მეორე სართულზე, 5 ოთახი პირველ სართულზე. დიდი ეზოთი, ყველანაირი საცხოვრებელი პირობით.
ფასი შეთანხმებით
599 35 76 97

ამინდი დედოფლისწყარო

ორშაბათი 08.09		სამშაბათი 09.09		ოთხშაბათი 10.09		ხუთშაბათი 11.09		პარასკევი 12.09		შაბათი 13.09		კვირა 14.09	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
30 °	23 °	30 °	23 °	29 °	22 °	28 °	22 °	28 °	22 °	28 °	23 °	29 °	23 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K